დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ტენდეციების შეფასება და რეკომენდაციები მდგრადი განვითარებისთვის

თამარ სულხანიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ სულხანიშვილი ..... 10.06.2018”.

აბსტრაქტი

დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ტენდეციების შეფასება და რეკომენდაციები მდგრადი განვითარებისთვის

საქართველოში დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ტურისტული დანიშნულების ადგილებს. ყოველწლიურად იზრდება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე. აღნიშნული იწვევს დაცულ ტერიტორიებზე და მათ მიმდებარედ ვიზიტორთა მომსახურების ობიექტებზე მოთხოვნილების სწრაფ ზრდას. სივრცითი მოწყობის გეგმებისა და შესაბამისი ზონირების არ არსებობის პირობებში ადგილი აქვს დაცულ ტერიტორიებზე და მათ მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის დაუგეგმავი და გარემოსთვის შეუფერებელ განვითარებას, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება დაცული ტერიტორიების ბუნებრივ და კულტურულ მახასიათებლებზე. საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებით შემუშავებული უნდა იქნეს დაცულ ტერიტორიებზე მშენებლობის სპეციალური ტექნიკური რეგლამენტი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ტურისტული მომსახურების ობიექტების მდგრადი მშენებლობა და ოპერირება, ასევე, უნიკალური ლანდშაფტების ავთენტურობის შენარჩუნება.

საძიებო სიტყვები : დაცული ტერიტორიები, მშენებლობა, ინფრასტრუქტურა, თუშეთი, თუშეთის დაცული ლანდშაფტი,

...

Key Words: Protected areas, Construction, Infrastructure

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ბატონ ალექსანდრე რამიშვილს. კვლევის ფარგლებში ინტერვიუებში მონაწილეობისათვის მადლობას ვუხდი ნუგზარ იდოიძეს, ზურაბ ჯავახიშვილს, გიორგი რაჯებაშვილს, იოსებ ნატრაძეს, ანდრეი კანდაუროვს, ირაკლი მაჭარაშვილს, ლაშა მოისწრაფიშვილს, კახა არცივაძეს, მაკა ბიწაძეს, ლალი თევზაძეს და ნიკა მალაზონიას.